ეროვნული ბიბლიოთეკა







დაგვეთანხმებით, ამ ფოტოებზე ყველაზე მეტყველი ბავშვების თვალებია: შესრულებული ვარჯიშის შეფასების მომლოდინე, დარცხვენილი (პატარებს კი არა, დიდებსაც აბნევს პირველი ტელეინტერვიუ), მოასპარეზის აზარტით დამუხტული, გულშემატკივრის განცდებით სავსე. ბავშვის თვალი კი, მოგეხსენებათ, ზემგრძნობიარე ფირს ჰგავს — ტკივილი და სიხარული სამუდამოდ აღიბეჭდება. ნუ დავივიწყებთ ამ ჭეშმარიტებას, ხშირად ვაჩუქოთ ბავშვებს სპორტული შეჯიბრებებით მოგვრილი სიხარული, პატარაობიდანვე ვაზიაროთ სპორტის სიკეთეს, თორემ გავა დრო, გაიზრდებიან, ბავშვობა-სიყმაწვილეს მოიგონებენ და გვისაყვედურებენ: რას გვთხოვთ, რა გისწავლებიათ, გასახსენებელი არაფერი გვაქვსო.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 აგვისტო, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 164 (10 083) ▲ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# შეიქმნა სპორტული ფედერაციების საბჭო

## ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია მხარში ამოუდგა საქართველოს ეოკ-ის შექმნის საინიციატივო ჯგუფს

**გუშინწინ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეიკრიბნენ საქართველოს სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც ერთსულოვნად გამოთქვეს მხარდაჭერა ჩვენში მიმდინარე ოლიმპიური მოძრაობის პროცესებისადმი და აირჩიეს ფედერაციების საბჭო, რომელიც მხარში ამოუდგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფს.

ფედერაციების საბჭოში შევიდნენ ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეები, საბჭოს ხელმძღვანელად კი აირჩიეს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკაში ეოკ-ის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წევრი ი. ყიფიანი. აღსანიშნავია, რომ ფედერაციების საბჭოს შექმნის იდეა თვით ი. ყიფიანს ეკუთვნის.

საბჭომ თავის პირველ სხდომაზე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა და გამოაცხადა, რომ, როგორც საბჭომ, ისე თითოეულმა ფედერაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ჰუმანური იდეალების დამკვიდრებისათვის, ხელი შეუწყოს ჩვენში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ჭეშმარიტ სახალხოობას და გააფართოვოს უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობები.

საბჭოს პირველ სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები.

# განსახილველად გამოქვეყნდა

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ საქართველოში მუშავდება ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების კონცეფციის პროექტი. გაწეულია დიდი მუშაობა, პროექტი მალე საბოლოო სახეს მიიღებს და ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნებთ საერთო-სახალხო განხილვისათვის.

ამასობაში მომზადდა და გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" გუშინ დაბეჭდა ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სახალხო სპორტის განვითარების კონცეფცია, რომელიც ერთად შეიმუშავეს საკავშირო სპორტსახკომის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოების, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტის სპეციალისტებმა. პროექტი შეთანხმებულია სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროსთან, საკავშირო პროფსაბჭოსთან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსახკომებთან.

გამოხმაურებები შეგიძლიათ გააგზავნოთ საკავშირო სპორტსახკომში (მისამართი: 119871, მოსკოვი, ლუჟნეცკაია ნაბერეჟნაია, 8. მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის მთავარი სამმართველო).

# პირველი ნახევრის ფინიშზე

**მოჭადრაკე** ვაჟთა მსოფლიო თასის I გათამაშების VI ეტაპზე მოეწყო შეხვედრები რვა ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დასამთავრებლად. სეირავანმა დაამარცხა კორჩნოი (VII ტური), ხოლო ნიკოლიჩ-სეირავანის პარტია (VI ტური) ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ, აგრეთვე, ტალი და ნიკოლიჩი, რომელთა VIII ტურის პარტიაც საბჭოთა დიდოსტატის ავადმყოფობის გამო არ შედგა დანიშნულ დღეს.

ამით დამთავრდა შელეფტეოს (შვეცია) ტურნირის პირველი ნახევარი, რომლის შემდეგაც სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი, იან ელვესტი, ვალერი სალოვი (ყველა — სსრ კავშირი), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 5-5 ქულა 8-დან, ულფ ანდერსონი (შვეცია), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 4,5-4,5, რობერტ ჰიუბნერი (გფრ), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), იასერ სეირავანი (აშშ) — 4-4, მიხეილ ტალი (სსრ კავშირი), ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 3,5-3,5, რაფაელ ვაჰანიანი (სსრ კავშირი), ჯონ ნანი (ინგლისი), დიულა საქსი (უნგრეთი) — 3-3, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 2.

ველოტრეკი - გზატკეცილი

**პარიზი.** მსოფლიო პირველობამ ველოსპორტში, ეს ქვეყანა რომ მასპინძლობს, ხმაურიანი ლიონიდან, სადაც ტრეკზე მოასპარეზენი გამოდიოდნენ, მყუდრო ქალაქ შამბერიში გადაინაცვლა და ახლა საგზატკეცილო რბოლის პერიპეტიების მოწმეა ფრანგი მაყურებელი. აქვე უნდა ითქვას რომ საბჭოთა მრბოლები არც აქ ირცხვენენ თავს და წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას პირველობისათვის. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო რბოლის პირველი დღე, როცა 50 კმ-ზე გუნდური რბოლის მონაწილენი დადგნენ სარბიელზე. საბჭოთა ოთხეულმა, რომელშიც შედიოდნენ ოლიმპიადა-88-ის პრიზიორი, პანევეჟისელი ლაიმა ზილპორიტე, ლვოველი ტამარა პოლიაკოვა, კუიბიშეველი ნადეჟდა კიბარდინა და ჩელიაბინსკელი ნატალია მელეხინა, ყველაზე სწრაფად განვლო მანძილი — 1:08.05,02 და ოქროს მედალი დაიმსახურა. ამით საბჭოთა ქალებმა 1987 წლის წარმატება გაიმეორეს, რომელიც შარშან იტალიელებს დაუთმეს. ამჯერად „სკუადრა აძურა" 0,87 წამით ჩამორჩა გამარჯვებულებს, მესამე ადგილზე ფრანგი ველოსიპედისტები არიან.

რეპლიკა

# დრო იკარგება, რას ვიქმთ სამაგიეროდ?

ფიზკულტურასა და სპორტში საქართველოში იყო და არის მართლაც საამაყო ტრადიციები. ცხოვრება წინ მიდის, მართალია, ყველას მართებს წვრთნის თანამედროვე მეთოდიკის, სხვათა გამოცდილების გაცნობა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სრულყოფილი ფორმების ასათვისებლად აუცილებლად კრასნოდარში ჩასვლა იყოს საჭირო...

უკვე მერამდენე წელია, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრების მუშაკები სწორედ ამ ქალაქის ფიზკულტურის ინსტიტუტში იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ჩიტი ბდღვნად რომ ღირდეს, კიდევ არა უშავდა, მაგრამ რამდენიმე სპეციალისტთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ იმ პროგრამის ათვისება, რომელსაც კრასნოდარში მსმენელებს სთავაზობენ, მშვენივრად შეიძლება თბილისშიც, საკუთარ ბაზაზე და საკუთარი ძალებით. ვგულისხმობთ ჩვენი სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას. თუ გნებავთ, ჩვენი სტუდენტობის ხასიათს, ეროვნულ თავისებურებებს.

ასე რომ, გამოდის: კრასნოდარში მოგზაურობა „იდეურ-თეორიული" (კურსების დებულების პარაგრაფი) და პროფესიული ცოდნის გასაღრმავებლად მხოლოდ დროისა და ფულის ფლანგვა ყოფილა, იმაზე აღარას ვამბობთ, რომ მსმენელები მოწყვეტილი არიან ოჯახს. ამასთან, ზოგი მათგანი უმაღლეს სასწავლებელში სპორტულ ჯგუფებთანაც მუშაობს და სტუდენტები ამ ხნის მანძილზე ხშირად უმეთვალყუროდ რჩებიან. ესეც შენი მუშაობის ცენტრალიზაციის კიდევ ერთი „ნაყოფი".

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი ჩვენი პედაგოგი ყოველნაირად ცდილობს თავიდან აიცილოს ზემოხსენებულ კურსებზე გამგზავრება. იქნებ ჯობდეს, ამ მდგომარეობიდან ისინი ოფიციალური დებულებით „ვიხსნათ", ჩვენთან (თუნდაც ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე) ჩამოვაყალიბოთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები?

დავფიქრდეთ!

ტელევიზორის ეკრანთან

# გიწვევთ „45 წუთი"

საქართველოს ტელევიზიის მთავარი სპორტული რედაქციის გადაცემა „45 წუთი" შეიყვარა ჩვენმა ტელემაყურებელმა. დაინტერესება ამ გადაცემისადმი, რაც დრო გადის, ღრმავდება, რადგან იგი თანდათან ისვეწება, მრავალფეროვანი და უფრო შინაარსიანი ხდება. და აი, დადგა ახალი შეხვედრის დრო — ხვალ, 25 აგვისტოს, 21 საათზე საქართველოს ტელევიზია პირველი პროგრამით ცისფერ ეკრანზე კვლავ მიიპყრობს თქვენს ყურადღებას გადაცემით „45 წუთი".

პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები, მსახიობი კახი კავსაძე, კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, ნახავთ და მოისმენთ ინტერვიუს იტალიის საფეხბურთო კლუბების მწვრთნელებთან ტრაპატონისთან, საკთან, ბიგონისთან, შეხვდებით აგრეთვე ცნობილ ფეხბურთელებს ვან ბასტენს, ჯანინის, მათეუსს... და სხვებს.

# კახა ლევიძის წარმატება

**პოლონეთის** ქალაქ ლოძის ხალიჩაზე თავი მოიყარეს ჭაბუკთა (17 წლამდე) ტრადიციული საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობის" მონაწილე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. ქუთაისელმა ჭაბუკმა კახა ლევიძემ მეტოქეებს ტოლი არ დაუდო და ოქროს მედალი დაიმსახურა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲡᲐᲡᲢᲔᲜᲓᲝ ᲡᲠᲝᲚᲐᲨᲘ

# ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

**ᲛᲔᲡᲢᲔᲜᲓᲣᲠᲔᲗᲐ** საკავშირო ჩემპიონატი ყოველ წელიწადს ტარდება, მაგრამ ჩვენთვის, გულშემატკივრებისთვის, ყოველ მეორე შეჯიბრებას მეტი „გემო" აქვს. საქმე ისაა, რომ წელიწადმონაცვლეობით ერთმანეთს ხან მოკავშირე რესპუბლიკების (აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის) გუნდები ეჯიბრებიან, ხან სპორტსაზოგადოებებისა.

საქართველოს მესტენდურეებს, უფრო — მრგვალ სტენდზე მსროლელებს, რესპუბლიკის გუნდის სახელითაც გაუმარჯვიათ და „დინამოს" ნაკრების შემადგენლობაშიც, მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთი შემთხვევაა, ჩვენს გულშემატკივარს სინანულს რომ აღუძრავს შეჯიბრების დებულების გამო.

წლეულს კი მოსკოვში სწორედ რესპუბლიკათა ჩემპიონატი ჩატარდა. ჩვენს სპორტსმენებს მოსამზადებელ პერიოდში სერიოზული პრობლემები ჰქონდათ მოსაგვარებელი — თბილისის სასროლეთი დაკეტილი იყო, მაგრამ დასკვნით ეტაპზე ყველაფერს მოაბეს თავი, ფაქტობრივად დანაკარგი აინაზღაურეს და გუნდი კარგად მომზადებული გაემგზავრა მოსკოვში. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ჩვენს მრგვალ სტენდზე მსროლელთა გამოცდილ გუნდს (თამაზ იმნაიშვილი, გია შენგელია, დავით ქვათაძე) არ უნდა დაეთმო მოპოვებული პოზიცია. მაგრამ მოსკოვში, არმიის სპორტული კლუბის ახალ სასროლეთზე, ისეთი, პირდაპირ უნდა ითქვას, საკვირველი ამბები მოხდა, ყოველგვარი პროგნოზი თავდაყირა დადგა...

ჩვენმა გუნდმა კარგად დაიწყო სროლა და პირველი დღის შემდეგ 221 ქულით ლიდერთა შორის იყო. ლიტვის ნაკრებსა და რსფსრის პირველ გუნდს ასეთივე შედეგები ჰქონდათ.

მეორე დღეს იმნაიშვილმა და შენგელიამ უშეცდომოდ გაიარეს პირველი სერია და პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცეს. მაგრამ ქვათაძემ... შეჯიბრებაზე დააგვიანა, — მან ვერ გაიგო სროლის დაწყების დრო და მწვრთნელმაც ვერ შეატყობინა. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენი სამი ქულით ისჯება. ქვათაძემაც ის სერია უშეცდომოდ ჩაატარა, ოცდახუთივე თეფში გატეხა, მაგრამ ცხადია, მხოლოდ 22 ჩაუთვალეს.

შემდეგ კი საოცარი, პირდაპირ უნიკალური შემთხვევა მოხდა: თამაზ იმნაიშვილმა წყვილ გასროლაში (დუპლეტი) ერთი ვაზნით ორივე თეფში დაამსხვრია, სრულიად შემთხვევით, რასაკვირველია. ასეთ დროს ცდა ხელახლა ტარდება, მაგრამ მეორე ცდაზე იგივე (!) განმეორდა. როცა პირდაღებულმა მსაჯებმა თამაზს ისევ მისცეს სროლის უფლება, კვლავ ერთ გასროლაზე... ორივე თეფში დაიმსხვრა. ეს სასტენდო სროლის ისტორიაში მართლაც უნიკალური შემთხვევა გახლდათ, რომელიც ალბათობის არც ერთ კანონში არ თავსდება. თუმცა, მსაჯებს მოსწყინდათ ამდენი „დუბლი" და იმნაიშვილს ერთი ცდა აცდენად ჩაუთვალეს.

კარგი დღე არც შენგელიას დაადგა: მე-6 სერიამდე იგი ლიდერი გახლდათ, მხოლოდ ერთხელ ააცდინა სამიზნეს (148 გასროლიდან), მაგრამ ამ სერიის ბოლო ორ ცდაზე, მე-8, ყველაზე იოლი პოზიციიდან რომ ტარდება, სატყორცნი აპარატი გაფუჭდა და ისეთი ტრაექტორიით ისროდა თეფშებს, ხოხობს შეშურდებოდა. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენს უფლება აქვს უარი თქვას სროლაზე, მაგრამ გაჭიანურებული ლოდინით გულგაწყალებულ მსროლელს ორჯერ მაინც წასცდა ხელი... და ეს გასროლები წარუმატებელ ცდად ჩაეთვალა. დამატებითი ცდის უფლება, რასაც საერთაშორისო წესები ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში, მას აღარ მისცეს.

ყველაფერ ამას იმისთვის კი არ ვწერთ, რომ ჩვენი სპორტსმენები გავამართლოთ (შეჯიბრებაზე დაგვიანება რით ვინდა გაამართლო?), უბრალოდ, ვწერთ იმიტომ, რომ შეჯიბრება შეჯიბრებაა და ათასი მოულოდნელი შემთხვევა შეიძლება მოხდეს, რაც მკითხველისთვისაც საინტერესოა.

მოკლედ, ასე დაკარგა ჩვენმა გუნდმა 6 ქულა, რამაც მას გული გაუტეხა და დასკვნით სერიაში ქართველი მესტენდურეები ისეთივე სიზუსტით ვეღარ ისროდნენ. იმ ექვსი ქულის მნიშვნელობა გუნდური პირველობის შედეგებიდანაც ჩანს: I. მოსკოვი — 441 ქულა; II. რსფსრ-I — 441 ქულა; III. ლიტვა — 440; IV. რსფსრ-II — 437; V. ყაზახეთი — 436; VI. ესტონეთი — 436; VII. უზბეკეთი — 435; VIII. საქართველო — 435. ე. ი. გამარჯვებულს სწორედ 6 ქულით ჩამოვრჩით. ამასთან ჩვენმა მსროლელებმა პირად შეჯიბრებაშიც დაკარგეს ლიდერობა: იმნაიშვილმა და შენგელიამ საბოლოოდ 195-195 ქულა მოაგროვეს (200 შესაძლებლიდან, გუნდური პირველობა კი 150-150 გასროლამდე ტარდება, გუნდში სამი სპორტსმენია), ქვათაძემ — 192. ფინალში, ე. ი. საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად და ასპარეზობის გასაგრძელებლად 196 ქულა იყო საჭირო.

მოსკოვში გამოდიოდნენ ჩვენი ადგილიდან მსროლელები მაია გუბიევა და სერგეი ანდრეევიც. ჯერ ორივე მეტად ახალგაზრდაა, ამიტომ უფროსების „კომპანიაში" დაკავებული IX ადგილი მაიასთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა, ანდრეევი კი უფრო წარუმატებლად გამოვიდა.

ᲩᲐᲕᲙᲘᲓᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲮᲔᲚᲘ...

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲚᲝᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ!

**ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ** მიყვარდა სპორტი, განსაკუთრებით — ძიდაობა. ჩემი ოცნება იყო გავმხდარიყავი დიდი სპორტსმენი. 1980 წ. ვარჯიში დავიწყე თბილისში, სპორტსაზოგადოება „დინამოში" საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ აკაკი ნონიკაშვილთან ძიუდოში, სადაც 5 წელი დავდიოდი სოფლიდან.

ვარ თბილისის სამგზის და საქართველოს ორგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის და „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, საკავშირო ტურნირის პრიზიორი. შეყვანილი ვიყავი მოსწავლე ძიუდოისტთა საქართველოს ნაკრებ გუნდში. 1984 წელს გავხდი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. იმავე წლიდან ვიყავი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონობა. 1985 წლის მაისში გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სადაც გავხდი ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების ჩემპიონი. 1987 წლის 19 მაისს დავამთავრე სამხედრო სამსახური. 5 დღის შემდეგ, 24 მაისს მივიღე მონაწილეობა ქართულ ჭიდაობაში („ქართული ჭიდაობის დღე" იყო), რომელიც ჩატარდა მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში. მაგრამ ეს ჭიდაობა საბედისწერო გამოდგა ჩემთვის. მივიღე ხერხემლის მძიმე ტრავმა (კისრის მალების მოტეხილობა), გავხდი სრული პარალიზებული, რის გამოც დამჭირდა 2 ოპერაცია. ერთი გამიკეთდა სასწრაფოდ თბილისში, მეორე — მოსკოვში, სადაც 8 თვე ვმკურნალობდი. ამის შემდეგ მდგომარეობა გამიუმჯობესდა: დამეწყო მხრების და ნაწილობრივ ხელების მოძრაობა. ამჟამად ვიმყოფები ჩემს ბინაზე სოფელ ძეგვში. 1 წელი და 8 თვე გავიდა, რაც მოსკოვიდან დავბრუნდი, მესაჭიროება სისტემატური მკურნალობა. — მასაჟები და ვარჯიშები, 2 თვეში ერთხელ ტალახის აბაზანები, ელექტროსტიმულიატორები, ნეიროქირურგის მუდმივი მეთვალყურეობა, რაც ჩემს პირობებში შეუძლებელია.

ტრავმის შემდეგ ძეგვის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინა ჩემი მძიმე მდგომარეობა და რადგანაც ბინა ავარიული მქონდა, საცხოვრებლად გამომიყო ფართი ძეგვის ტერიტორიაზე მდებარე მექანიკური ქარხნის „თოლია"-ს მიერ აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში (28 კვ. მეტრი), რისთვისაც დიდი მადლობა ყველას. სამწუხაროდ, არც ერთ მეთოდისტს, მასაჟისტს არ სურს ჩემთან სიარული (ვთხოვეთ რამდენიმე მათგანს, რომ გვეტარებინა მანქანით, მაგრამ არ დაგვეთანხმდნენ სიშორის გამო). ტალახის აბაზანების მიღებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

გთხოვთ, პატივცემულო რედაქცია, გაითვალისწინოთ ჩემი მძიმე მდგომარეობა და დამეხმაროთ, მიშუამდგომლოთ იმ სამინისტროს თუ სამმართველოს ხელმძღვანელობასთან, რომლებსაც რაიმე პრაქტიკული დახმარების გაწევა შეუძლიათ.

სპორტს თუ არა, იქნებ ნორმალურ ცხოვრებას მაინც დავუბრუნდე. ამ წერილის დაწერაც კი საკუთარი ხელით ვერ შევძელი, ვკარნახობ, ლოგინად ვარ ჩავარდნილი. კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ, ეგებ რაიმე დახმარება გამიწიოთ.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
სოფ. ძეგვი,
მცხეთის რაიონი.
22. 08. 89 წ.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:** ტრაგედია, რომელსაც ეს-ესაა გავეცანით, ცხადია, დამაფიქრებელია — დამაფიქრებელია სპორტსმენის ბედი. მოხდა უბედურება, ახლა კი ყველაფერი საზოგადოებრიობაზეა დამოკიდებული, რა ვქნათ?

მოგვწერეთ ვის რა დახმარების გაწევა შეუძლია ან შემოგვთავაზეთ კონკრეტული წინადადებები. ახალგაზრდა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ სიცოცხლით ალსავსე იყო და სურდა სპორტში ესახელებინა თავისი სამშობლო, დღეს განსაცდელშია!

# ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ეს შეჯიბრება თავისი რანგით და მასშტაბით მაინც და მაინც არ იქცევდა ყურადღებას, მაგრამ საქართველოს ნიჩბოსნებისთვის, მათი მწვრთნელებისთვის მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენში ბოლო ხანებში ახალგაზრდებს შორის დიდ ინტერესს იწვევს, რაც, ცხადია, მისასალმებელია.

საერთო მონდომების, სამაგალითო ენთუზიაზმის, საქმისადმი დიდი სიყვარულის შედეგი ამ შეჯიბრებაზეც გამოჩნდა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა, პერსპექტიულმა კანოისტმა თემურ მარტოლეკმა 500 და 1000 მეტრზე ასპარეზობაში დაიკავა პირველი ადგილი (მწვრთნელები მ. ჩხეიძე და შ. მუსოევი), საქართველოს გუნდი კი II ადგილზე გავიდა. ჩვენი გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო დუშეთის სპორტსკოლის აღსაზრდელებით (დირექტორი დ. გელაშვილი).

ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ეს იყო 1972-73 წლებში დაბადებულ ნიჩბოსანთა ტურნირი, რომელიც სომხეთის ქალაქ სევანში ჩატარდა და ავღანეთში დაღუპულ ვ. მიქაელიანის ხსოვნას მიეძღვნა.

**ᲜᲐᲜᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
„ლელოს" საზოგადოებრივი კორესპონდენტი.



თემურ მარტოლეკი.

ᲮᲣᲗᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲔᲒᲘᲓᲘᲗ

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

**ვინ არ იცის, რომ საქართველოში აფროსნობის განვითარების შესანიშნავი პირობებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სახეობაში ოლიმპიადაში მონაწილეობით ჯერ ვერ დავიტრაბახებთ (თუმცა ახლოს კი ვიყავით — გურამ ბიგანიშვილი მყავს მხედველობაში). არადა, დარწმუნებული ვარ, საქართველოში ბევრს უყვარს ეს სახეობა და მათ ჩემსავით აინტერესებთ აფროსნობის „ოლიმპიური სტატუსი", ე. ი. რომელი კლასის ნავები მონაწილეობენ ოლიმპიადებში.**

**ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲐᲑᲝᲫᲔ.**
**თბილისი.**




ვითვალისწინებთ მკითხველის თხოვნას და გთავაზობთ ოლიმპიური კლასის ნავების ნიმუშების რეპროდუქციასა და ჩამონათვალს, რომელიც აღებულია 1980 წელს გამოცემული „ოლიმპიური ენციკლოპედიიდან": 1. „ფინი", 2. „470", 3. „მფრინავი ჰოლანდიელი", 4. „ვარსკვლავი", 5. „სოლინგი", 6. „ტორნადო."

# ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ?

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ...

**ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ** დამღუპველი ეპიდემიის „აფრიკული ჭირის" პირველი ნიშნები ესპანეთში შარშან ოქტომბერში აღინიშნა (ანდალუზიის პროვინციაში). მერე მორიგეობით მან კიდევ ორჯერ იფეთქა ამ პროვინციის სხვადასხვა ქალაქში.

ესპანეთი — 1992 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყანა ამ უბედურებამ სერიოზულად შეაშფოთა. შეშფოთებული არიან სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც, განსაკუთრებით ისინი, ვინც მომავალ თამაშებს გარკვეულ და დასაბუთებულ იმედებს უკავშირებენ.

ინციდენტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გამოთქვა საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ინგლისელმა პრინცესა ანამ. მაგრამ საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა თქვას. ფიქრობდნენ, რომ ექსტრემალურ სიტუაციას სოკ-ი წლეულსვე განიხილავდა, მაგრამ როგორც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, „აფრიკული ჭირის" პრობლემას მხოლოდ გაისად დავუბრუნდებით. ასეა თუ ისე, რამდენიმე ქვეყანა უკვე თანახმაა ჩაატაროს ცხენოსანთა ოლიმპიური ტურნირი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ შეჯიბრებას იმავე ესპანეთის რომელიმე სხვა ქალაქმა უმასპინძლოს.

გავიმეორებთ, რომ ოლიმპიური თამაშების ისტორიას ერთი ასეთი პრეცედენტი უკვე ახსოვს. კარანტინის გამო 1956 წელს ცხენოსანთა ოლიმპიურ ტურნირს XVI თამაშების ქალაქმა მელბურნმა კი არ უმასპინძლა, არამედ... სტოკჰოლმმა.

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲒᲔᲖᲠᲓᲘᲗ

„გოლდენ სტეიტ უორიორზის" მწვრთნელი მაიკ შულერი კარგა ხანია მუშაობს კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში (ნბა) და რომ იტყვიან, ერთის ნახვით შეუძლია სპორტსმენის შესაძლებლობების, მისი ნიჭისა და უნარის განსაზღვრა. როდესაც მან პირველად გასინჯა შარუნას მარჩიულიონისი, მაშინვე თქვა: ეს ყმაწვილი რომ ჩვენს გუნდში არ ვათამაშოთ, დანაშაული იქნებაო.

შარშან მარჩიულიონისმა საბჭოთა კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია — მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი. განსაკუთრებით კარგად ჩაატარა მან ნახევარფინალური მატჩი ამერიკელებთან, 19 ქულა შესძინა გუნდს (მათ შორის სამი ტყორცნა — ექვსმეტრიანი ზონიდან) და დაცვაშიც მთლიანად უვნებელყო თავისი მეტოქე. მარჩიულიონისს ამერიკელმა სპეციალისტებმა — ისინი კი ბლომად იყვნენ სეულში ჩასულნი — სწორედ ამ მატჩის შემდეგ მიაქციეს ყურადღება.

ეს იყო, როგორც ვთქვით, ერთი წლის წინ. დღეს კი შარუნასი „გოლდენ სტეიტის" საწვრთნელ ბანაკში იმყოფება, რომელიც ნიუგემპშირში მდებარეობს. მწვრთნელმა მას მიზნად დაუსახა კონკრეტული ამოცანა: რაც შეიძლება მალე გადაეჩვიოს ევროპელთათვის დამახასიათებელ თამაშის მდორე სტილს. მარჩიულიონისი სწრაფად ითვისებს ტემპიან და ძალისმიერ კალათბურთს და ამით აღტაცებაში მოჰყავს მწვრთნელი, რომელმაც ადგილობრივ ჟურნალისტებს ერთხელ უკვე განუცხადა: „დღეს იგი არაფრით ჩამორჩება პროფესიული ლიგის სხვა დებიუტანტებს, ხვალ კი შეიძლება აჯობოს კიდეც მათ".

# I ლიგა

**22 აგვისტოს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVII ტურის შეხვედრები.

**„დინამო“ (ბათუმი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 4:1 (3:0)**

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 22 აგვისტო.**

**„დინამო“:** ბალაძე (კუცია), გოგიტიძე, ქასრაშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ჯოხაძე, მჭედლიშვილი, კაკილაშვილი (მაჭუტაძე), ბიგვავა, მეშკოვი, მაისურაძე (უგრეხელიძე).

**„ნისტრუ“:** კოშელევი (ბონტარაში), შუკაევი (დევატარუ), სიროტიუკი, სირბუ, საველიევი, ნანი, კარატაევი, ვასილიევი, ა. სკალა, ფინკი (ი. სკალა), ჯავადოვი.

**მსაჯი ა. ბუდაკოვსკი.**

**ბოლო** ორ ტურში განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ ბათუმის დინამოელები საკუთარ მინდორზე კვლავ 2 ქულის აღების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მნიშვნელოვნად ირთულებდნენ მდგომარეობას სატურნირო ცხრილში. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ კიშინიოველი ფეხბურთელებიც, რომლებიც ბოლო ხანებში საგრძნობლად დასცილდნენ ლიგის ლიდერთა ჯგუფს.

თამაშის დასაწყისში სტუმრებს ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა შეექმნათ, მაგრამ ჯავადოვის დარტყმა უვნებელყო მეკარე ბალაძემ, მერე კი ინიციატივა ბათუმელებმა აიღეს ხელთ და თამაშიც მათი უპირატესობით მიმდინარეობდა.

მე-8 წუთზე მჭედლიშვილის მიერ ვათამაშებული საჯარიმო კარგად გამოიყენა კიკლიაშვილმა და შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, 31-ე წუთზე კაკილაშვილი-გოგიტიძე-კიკლიაშვილის კომბინაციის შემდეგ „ნისტრუს“ მეკარემ მოიგერია ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო მეშკოვმა და მეორედ აიღო „ნისტრუს“ კარი, ტაიმის დასასრულს კი ბიგვავამ კარგად გამოიყენა მეშკოვის გადაცემა — 3:0.

უკვე ეს უპირატესობაც სავსებით საკმარისი იყო წარმატების გასანაღდებლად, მაგრამ როცა შესვენების შემდეგ ჯოხაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი, მატჩის ბედი უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. ერთადერთი, რაც სტუმრებმა შეძლეს, ეს იყო ჯავადოვის მიერ გატანილი საპასუხო ბურთი.

ამ გამარჯვებით ბათუმელმა ფეხბურთელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თავიანთი სატურნირო მდგომარეობა.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

ამ დღეს ქუთაისის ტორპედოელები ორჯონიკიძეში შეხვდნენ „სპარტაკს“. დიდი ანგარიშით გამარჯვება მოიპოვეს სპარტაკელებმა —4:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 4:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — ცსკა 0:0, „შინიკი“ — „კუზბასი“ 0:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 18 | 5 | 3 | 71-17 | 41 |
| „კაირატი“ | 26 | 15 | 6 | 5 | 46-22 | 36 |
| „გურია“ | 25 | 15 | 6 | 4 | 42-18 | 36 |
| „ფახთაქორი“ | 26 | 12 | 7 | 7 | 32-15 | 31 |
| „ფაკელი“ | 26 | 12 | 6 | 7 | 30-21 | 30 |
| „ნეფთჩი“ | 26 | 11 | 8 | 7 | 32-25 | 30 |
| „დინამო“ სტ. | 25 | 10 | 9 | 6 | 33-27 | 29 |
| „გეოლოგი“ | 26 | 11 | 5 | 10 | 28-28 | 27 |
| „ნისტრუ“ | 26 | 12 | 2 | 12 | 28-40 | 26 |
| „მეტალურ.“ | 25 | 10 | 6 | 9 | 34-25 | 26 |
| „როსტსელ.“ | 26 | 8 | 10 | 8 | 25-25 | 26 |
| „ტორპედო“ | 24 | 11 | 3 | 10 | 37-34 | 25 |
| „ტავრია“ | 25 | 9 | 7 | 9 | 36-35 | 25 |
| „სპარტაკი“ | 26 | 9 | 6 | 11 | 32-34 | 24 |
| „კოტაიკი“ | 25 | 8 | 8 | 9 | 28-22 | 24 |
| „დინამო“ ბ. | 26 | 9 | 5 | 12 | 26-42 | 23 |
| „შინიკი“ | 26 | 7 | 9 | 10 | 27-42 | 23 |
| „ყუბანი“ | 26 | 8 | 5 | 13 | 26-50 | 21 |
| „კუზბასი“ | 26 | 6 | 9 | 11 | 15-27 | 21 |
| ასკ რ. | 25 | 5 | 5 | 15 | 30-49 | 15 |
| „დაუგავა“ | 26 | 4 | 5 | 17 | 16-45 | 13 |
| ასკ „კარპატი“ | 26 | 3 | 6 | 17 | 22-53 | 12 |

**ფეხბურთი უმაღლეს სასწავლებელში**

# არც ამჯერად მოეცარათ ხელი

**ჩვენი** ფეხბურთის მოყვარულთათვის თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო კვლევითი ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის წარმატებები ახალი ხილი როდია. ინსტიტუტის ფეხბურთელები წარმატებით გამოდიან როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო ასპარეზზე, მათ მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე დაწვრილებით ქვევით გვექნება საუბარი, ახლა კი მათ ახალ მიღწევაზე გვინდა მოგითხროთ.

რამდენიმე დღის წინ ვილნიუსმა პირველად უმასპინძლა სსრ კავშირის პირველობის ფინალურ თამაშებს მინიფეხბურთში უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის და სასიხარულოა, რომ თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ფეხბურთელთა კოლექტივს არც ამ საინტერესო შეჯიბრებაში მოსცარვია ხელი. რესპუბლიკურ გათამაშებაში საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის გუნდი მონაწილეობდა და გამარჯვება ზოოტექნიკოსებმა მოიპოვეს, ამან მათ საშუალება მისცათ დუშანბეში მინიფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ნახევარფინალში დაეცვათ რესპუბლიკის ღირსება. აქ მეტოქეებთან ბრძოლაში ჩვენი გუნდი ფინალურ საგზურს დაეუფლა.

ვილნიუსის ფინალურ ტურნირში თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის ექვსი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივებმა. ზოოტექნიკოსთა გუნდი ამ წარმომადგენლობით ასპარეზობაშიც მეტოქეებზე მაღლა იდგა, მან თანმიმდევრულად დაამარცხა უზბეკეთის — 6:1, ყაზახეთის — 4:3, მოსკოვის — 6:1, რსფსრ-ის — 9:1 გუნდები და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ფრედ — 3:3 ესტონელ სტუდენტებთან. 9 ქულით თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის გუნდმა მინიფეხბურთელთა პირველი საკავშირო გათამაშების გამარჯვებულის სახელი მოიპოვა.

ბოლო 10 წლის მანძილზე ზოოტექნიკოსებმა რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზზე 41 საპრიზო ადგილი დაიკავეს. ინსტიტუტისთვის, სადაც მხოლოდ ორი ფაკულტეტია და რომელიც რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შორის შედარებით მცირერიცხოვანია, ეს წარმატებები დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მკითხველს გავაცნობთ ინსტიტუტის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა ნუსხას: დედაქალაქის 9-გზის ჩემპიონი, რესპუბლიკის თასის 1983 წლის მფლობელი, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების თასის 6-გზის მფლობელი, ქალაქის თასის 6-გზის გამარჯვებული, საკავშირო სოფლის მეურნეობის სისტემაში შემავალი უმაღლესი სასწავლებლების პირველობის 3-გზის ლაურეატი, საკავშირო უნივერსიადის ვერცხლის მედლის მფლობელი (მკითხველს ალბათ ახსოვს, შარშან ლიტვაში გამართულ ამ პირველობაზე უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ვილნიუსის „ჟალგირისმა“ მხოლოდ ძალების უკიდურესი დაძაბვით შეძლო ჩვენი გუნდის დამარცხება), ა. ჟორდანიას თასის 5-გზის მფლობელი, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, თბილისის 1985 წლის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

ზოოტექნიკოსებს სატრაბახო მარტო მოპოვებული თასები და პირველობები როდი აქვთ, ჩვენი რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებში მუდამ გამოდიოდნენ და გამოდიან ამ ინსტიტუტის აღსაზრდელები. გიორგი დარასელია, რომლის დებიუტი სულ ახლახან წარმატებით შედგა თბილისის „დინამოში“, წლების განმავლობაში ზოოტექნიკოსთა გუნდის სახელს იცავდა. წლების განმავლობაში ამ ინსტიტუტის ღირსებას იცავდნენ რესპუბლიკის მაღალი რანგის გუნდების წარმომადგენლები ნ. კაკილაშვილი, ზ. რევიშვილი, ვ. კურტანიძე, ს. ფრუიძე, გ. ვასაძე, ლ. აგარონოვი, ზ. ჭიაბრიშვილი, ზ. თოფურია და მრავალი სხვა.

ინსტიტუტის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის უფროს მწვრთნელს ე. გუგუშვილს, მასთან ერთად კოლექტივთან მუშაობს ო. კერესელიძე.

სტუდენტებს ყურადღება არც ინსტიტუტის ხელმძღვანელობისგან აკლიათ. ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი გ. აგლაძე თანადგომას არ აკლებს სპორტსმენებს, ზოოტექნიკოსების განკარგულებაშია საუკეთესო საწვრთნელი ბაზა, ფეხბურთელთა გუნდს გამოუყვეს სპეციალური ავტობუსი, აქ ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ ტიტულოვან საფეხბურთო კლუბს შეეფერება.

**ზაზა კახაძე.**

**საქართველოს თასზე**

# „სპარტაკი“ — ფინალში

**თბილისის** „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი ცხინვალის „სპარტაკსა“ და თეთრიწყაროს „საპოვნელას“ შორის.

მატჩი ცხინვალელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. ბურთები გაიტანეს ი. ჯიოევმა და ზ. რომელაშვილმა-2. მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ძ. ჯიოევი.

როგორც გაცნობეთ, მეორე ნახევარფინალური მატჩი ზუგდიდის „დინამოსა“ და წყალტუბოს „შადრევანს“ შორის გადატანილია, იგი 7 სექტემბერს შედგება.

**საბჭოთა გუნდები უცხოეთში**

**ამხანაგური** საერთაშორისო მატჩების გასამართავად ამერიკაში ჩავიდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელთა გუნდი.

სტუმრებმა კონექტიკუტის შტატში გამართეს პირველი შეხვედრა ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. მათ ახლა ფილადელფიაში საერთაშორისო შეხვედრა ელით ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან.

ამერიკაში ჩასვლამდე დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები ინგლისში იმყოფებოდნენ. იქ მათ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს II დივიზიონის „სანდერლენდი“ და „ბედფორდი“ — 3:1. შეხვედრა I დივიზიონის „საუთჰემპტონთან“ დამთავრდა ფრედ — 3:3.

**პირენეის** ნახევარკუნძულზე ტურნე გამართა მოსკოვის „სპარტაკმა“. სპარტაკელები ჯერ ლისაბონში შეხვდნენ ცნობილ „ბენფიკას“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2, ამის შემდეგ გუნდი ქ. უელვაში გაემგზავრა და მონაწილეობა მიიღო 4 გუნდის ტურნირში. სპარტაკელთა გარდა ჰასში გამოდიოდნენ მადრიდის „რეალი“, სევილიის „ბეტისი“ და ადგილობრივი „უელვა“, რომელიც მეორე დივიზიონში თამაშობს. პირველ ტურში სპარტაკელთა მეტოქე იყო „უელვა“, სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2 და ფინალში შეხვდნენ მადრიდის „რეალს“. ფინალური მატჩი დამთავრდა მადრიდელთა გამარჯვებით — 3:1, რომლებიც მთავარ პრიზს დაეუფლნენ. სპარტაკელებს მეორე პრიზი — ვერცხლის ხომალდი ხვდათ წილად.

**საქართველოს პირველობა**

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XXI ტურის შეხვედრები.

**„სულორი“ (ვანი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 4:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: შარაშენიძე, ტყეშელაშვილი, ლორთქიფანიძე, დვალიშვილი („სულორი“), კურჯიევი-2 (პოლ. ინსტ.).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 7:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: შამუგია, ჩხვირკია, როსტობაია-2, კაკუბავა-2, დარასელია („ამირანი“), ცინცაძე, ქარენაშვილი („დურუჯი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვ. ყაველაშვილი („დურუჯი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი დ. კარაპეტიანი (ბათუმი).**

**„სიონი“ (ბოლნისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 6:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: სამხარაძე, შენგელია, ტყავაძე-3, მოსეშვილი („სიონი“), კვარაცხელია, ლუკავა („სქური“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1. მსაჯი დ. შავგულიძე (რუსთავი).** გოლები: ჯიოევი, რომელაშვილი, ძაგოევი („სპარტაკი“), ტყეშელაშვილი („ბახტრიონი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ლ. გრიგორიანი და ზ. მაისურაძე („სპარტაკი“), ასევე უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ახმეტელი გ. ტერტერაშვილი. განმეორებითი უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს გ. ტერტერაშვილი, ხოლო განზრახ უხეში თამაშისთვის — ა. ხუგაშვილი. (ორივე — „ბახტრიონი“).

**„ივერია“ (ხაშური) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი თბილისი).** გოლი: ქიმერიძე („ივერია“).

მსაჯთან კამათისათვის გააფრთხილეს დ. ორბელაძე („საპოვნელა“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: გიორგობიანი, სუხიშვილი, ბერაძე („შადრევანი“), ხურცილავა (ფიზკ. ინსტ.).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მზიური“ (გალი) 0:0. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).**

## II ჯგუფი

### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„მიონი“ — „გარეჯი“ 2:1, „ჰერეთი“ — სინ. სპ. ინტ. 2:1, „სამგორი“ — „კოლმეურნე“ 3:3, „თრიალეთი“ — „განთიადი“ 3:0, „მეტალისტი“ — „ქიზიყი“ 2:5, „ალაზანი“ — „გარისი“ 4:0, სსი (მუხრანი) — „კახეთი“ 2:4.

დმანისის „განთიადს“ წალკის „თრიალეთთან“ გამოუცხადებლობისთვის ჩაეთვალა წაგება. გამოუცხადებლობის მიზეზი უნდა ეცნობოს ფეხბურთის სამმართველოს.

### ცენტრალური ქვეჯგუფი

„მესხეთი“ — „რაჭა“ 3:0, „ქართლი“ — „მეშახტე“ 1:1.

ამბროლაურის „რაჭა“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ახალციხის „მესხეთთან“, რის გამოც მას წაგება ჩაეთვალა.

### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ეგრისი“ — „სალხინო“ 1:0, „ოდიში“ — „მშენებელი“ — 4:1, „იმერეთი“ — „ხვამლი“ 10:0, „ნარინჯი“ — „მენავთობე“ 3:2.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 21 | 14 | 7 | 0 | 44-13 | 35 |
| „ამირანი“ | 18 | 9 | 7 | 2 | 36-17 | 25 |
| „სპარტაკი“ | 20 | 11 | 2 | 7 | 34-21 | 24 |
| „მალაროელი“ | 21 | 9 | 6 | 6 | 31-27 | 24 |
| „მეტალურ.“ | 21 | 8 | 7 | 6 | 37-31 | 23 |
| სპი | 18 | 9 | 4 | 5 | 42-31 | 22 |
| „სამეგრელო“ | 21 | 9 | 3 | 9 | 32-43 | 21 |
| „დინამო“ ზ. | 14 | 9 | 2 | 3 | 37-19 | 20 |
| „სულორი“ | 20 | 7 | 6 | 7 | 30-29 | 20 |
| „მზიური“ | 19 | 7 | 6 | 6 | 31-31 | 20 |
| „სიონი“ | 19 | 8 | 3 | 8 | 40-36 | 19 |
| „სქური“ | 19 | 8 | 3 | 8 | 25-24 | 19 |
| „ივერია“ | 19 | 7 | 5 | 7 | 29-29 | 19 |
| „დინამო“ გ. | 18 | 8 | 2 | 8 | 37-37 | 18 |
| „საპოვნელა“ | 21 | 7 | 4 | 10 | 33-39 | 18 |
| „დურუჯი“ | 21 | 7 | 1 | 13 | 24-54 | 15 |
| „ბახტრიონი“ | 20 | 4 | 4 | 12 | 21-42 | 12 |
| „არმაზი“ | 18 | 2 | 8 | 8 | 16-24 | 12 |
| „არაგვი“ | 19 | 3 | 5 | 11 | 17-36 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. | 17 | 3 | 1 | 13 | 22-35 | 7 |

# მსოფლიო ჩემპიონატი და ჟურნალისტები

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციასა (ფიფა) და ფეხბურთის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს შორის მოლაპარაკების საგანი დღემდე არის პრესცენტრი, მომსახურების საშუალებები და აკრედიტაცია. აკრედიტაციის პროცესი ამჯერად, წინა წლებისგან განსხვავებით, სხვაგვარად წარიმართება. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 1990 წლის თებერვლამდე უნდა გადასინჯოს ყველა გამოგზავნილი მოთხოვნა და დააკმაყოფილოს ან უარყოს ისინი. ფიფა აღარ მიიღებს დაგვიანებულ მოთხოვნებს.

საერთაშორისო პრესცენტრი შენდება ქალაქ რომის ოლიმპიურ სტადიონთან ახლოს. სამუშაო ადგილი შესანიშნავად მოეწყობა და არავითარი ხელშემშლელი პირობა არ იქნება. ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებს მიიღებენ წინასწარი ტურნირის დამთავრებისას. აკრედიტებულ ფოტოკორესპონდენტებს გადაეცემათ დანომრილი ფოტობარათები (მოწმობები). ბარათებზე აღნიშნული იქნება ჩემპიონატის ორი მთავარი სპონსორი — „ქენონი“ და „ფუჯი“. ოფიციალურ პირს ეს ნომრები საშუალებას აძლევს მონახოს და დასაჯოს ფოტოკორესპონდენტი, რომელიც დაარღვევს ამა თუ იმ წესს, სულ ერთია, ჩემპიონატის პირველ მატჩზე მოხდება ეს თუ ფინალში.

აკრედიტაციის მოთხოვნას თან უნდა მოჰყვეს შესატანი თანხა — 500 ამერიკული დოლარი.

ბევრ პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტს ჯერ კიდევ ახსოვს, რომ ფიფა-ს მიერ დაკანონებული წესები (2200 რეპორტიორი, 500 ფოტოკორესპონდენტი) ჯერაც ლიბერალურია და დიდ გასაქანს აძლევს დაბალი კლასის სპეციალისტებს.

ფიფა-ს წესების თანახმად, ფოტოკორესპონდენტები, რომელთაც სამუშაო ადგილი კარს უკან ექნებათ გამოყოფილი, მთელი მატჩის განმავლობაში უნდა ისხდნენ. ეს საშუალებას მისცემს მაყურებელს, რომლის ხედიც შეიძლება დაიფაროს სატელევიზიო კამერისა და ფოტოაპარატების მიერ, თავისუფლად, აულელვებლად ადევნოს თვალყური მატჩს.

ფიფა-მ ცალკეული ტელეკომპანიების წარმომადგენლების რიცხვი 12-მდე გაზარდა (6-6 თითო კართან). ტელევიზიის ჯგუფებს გამოეყოფათ სპეციალური ადგილები, რათა თავიდან აიცილონ ფოტოკორესპონდენტებთან კონფლიქტი. მინდორზე გადასვლა მატჩის დამთავრების შემდეგ ამიერიდან ყველას ეკრძალება. სატელევიზიო კომპანიები განიხილავენ საკითხს საფინალო სასტვენის შემდეგ ინტერვიუს აღების შესახებ.

**პუბლიკაცია მოამზადა**
**დავით ჩუჩანიძემ.**

# ეს ჩვენი ძველი, კეთილი კრივი

**ბევრს** სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობასთან კეთილი მოგონებები აკავშირებს. თავის ძველ ქომაგებს იგი განსაკუთრებით მაშინ შეახსენებს ხოლმე თავს, ტელევიზორისა თუ კინოეკრანზე ნაცნობი კადრები რომ გაიელვებს. დიახ, კრივი, და თანაც როგორი, მთელი მშვენებით წარმოგვიდგა, როცა „ვრემიამ" საბჭოთა კავშირში პირველად გამართული პროფესიონალთა შეჯიბრების რამდენიმე ფრაგმენტი გვაჩვენა. ბევრმა მაყურებელთა შორის ნაცნობსაც მოჰკრა თვალი. კერძოდ, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მოსკოველ ბორის ლაგუტინსა და საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონს, თბილისელ ანდრო ნავასარდოვს. ადვილი შესამჩნევი იყო რინგისკენ მიპყრობილი მათი სევდანარევი მზერაც, რომელშიც ყველა ამოიკითხავდა: „სად იყო ჩვენ დროს ასეთი საშუალება". დიახ, ორივენი ტყავის ხელთათმნის დიდოსტატები იყვნენ და პროფესიულ სარბიელზეც თამამად იტყოდნენ თავიანთ სიტყვას, მაგრამ ამის შესაძლებლობა მხოლოდ ახლა მიეცათ საბჭოთა მოკრივეებს, რომლებმაც წარმატებით აუღეს ჭაშნიკი სიახლეს.

მაყურებელმა პირველად იხილა ნამდვილი კრივი-შოუ, როცა სარბიელზე კელვინ გროუვი და ენტონი ინგლიში ამერიკის ჩემპიონის ოქროს სარტყელს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება თვით ბრძოლას, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კ. გროუვმა ჯერ ძირს დასცა მეტოქე და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. მანვე მოიპოვა უფლება შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონს. მთავარი მაინც წინ იყო. მაყურებელს ელოდა საბჭოთა დებიუტანტების: სპორტის დამსახურებული ოსტატის იური ალექსანდროვის, სპორტის ოსტატების ვიქტორ ეგოროვისა და ანდრეი ორეშკინის საკვალიფიკაციო, ანუ სარეიტინგო გამოსვლა, რომელიც ოთხი სამწუთიანი რაუნდისაგან შედგებოდა. ი. ალექსანდროვს მოუხდა პროფესიულ რინგზე პირველი ... ცალის გავლება. მას ნამდვილი გამოცდა მოუწყო ამერიკელმა ქ. ცისნეროსმა, რომელმაც პროფესიონალის ყველა ხრიკი იხმარა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებულად მსაჯებმა საბჭოთა მოკრივე ცნეს.



დანარჩენ ორ შეხვედრაშიც წარმატება რინგის მასპინძელთა მხარეზე აღმოჩნდა — ვიქტორ ეგოროვმა ორჯერ ნოკდაუნში ჩააგდო მაიკლ უილიამსი, მესამე რაუნდში კი აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. ბოლოს ანდრეი ორეშკინმა ოსტატურად სძლია ქ. კროსბის. საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლას პროფესიონალთა სარბიელზე მაღალი შეფასება მისცა კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) ევროპელმა წარმომადგენელმა გ. რობინსონმა. შეჯიბრებას დაესწრო აგრეთვე იბფ-ის პრეზიდენტი რობერტ ლი.

---

# პირველი ქალი დირექტორი

**39 წლის** ნორვეგიელი ინჟინერ-ეკონომისტი ლინდა ვერდე დაინიშნა 1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების (ჩატარდება ნორვეგიის საკურორტო ქალაქ ლილეჰამერში) სპორტულ დირექტორად. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქალს აბარებენ ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობას.

ლინდა მუშაობს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ოფისში და თანამშრომლებში დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს. იგი ითვლება დაგეგმვისა და ორგანიზაციის კარგ სპეციალისტად და სწორედ ამიტომ ანდეს ასეთი საპასუხისმგებლო პოსტი.

— პირველად რომ მომმართეს წინადადებით, იგონებს იგი, ცოტა შევშინდი და დრო მოვითხოვე, მაგრამ გადაწყვეტილება მყისვე მივიღე. საინტერესო საქმეა, თანაც საშუალება მეძლევა ჩემი ქვეყანა კარგად წარმოვაჩინო.

ლინდა ვერდე სპორტში ახალბედა არ გახლავთ. იგი იყო ნორვეგიის ნაკრების წევრი სპორტულ ორიენტირებაში და 10 წლის მანძილზე (1972-1981 წწ) იცავდა ქვეყნის ღირსებას ყველა მნიშვნელოვან ტურნირსა და ოფიციალურ ჩემპიონატში. იგი ამჟამადაც წელიწადში სულ მცირე 15 შეჯიბრებაში მონაწილეობს, მაგრამ მოუცლელობის გამო უცხოეთში აღარ მიემგზავრება და მხოლოდ შინაურ ტურნირებში გამოსვლით კმაყოფილდება.

## კალეიდოსკოპი

### რეკორდსმენი ზეადამიანი არ არის!

ერთადერთი ადამიანი მსოფლიოში, რომელიც „გადაახტა ფეხბურთის კარის ზედა ძელს" და სიმაღლეზე ხტომაში უნიკალური რეკორდის ავტორი გახდა, ამ დღეებში დამარცხდა... საკუთარ თავთან ბრძოლაში. ეს მოხდა „ამერიკის თასის" გათამაშებაზე, რომელსაც კოლუმბიის დედაქალაქი ბოგოტა მასპინძლობდა.

კუბელმა ხავიერ სოტომაიორმა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სთხოვა მსაჯებს თამასა 245 სანტიმეტრის სიმაღლეზე გაედოთ. 30 ათასი მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სპორტსმენის ბრძოლას სიმაღლესთან, რომელიც 35 წუთს გაგრძელდა. პირველ ორ ცდაში კუბელი ახლო იყო მიზანთან, მესამე ცდა კი შესრულების მხრივ უხეირო გამოდგა.

სოტომაიორმა ორი მიზეზი დაასახელა, რის გამოც ვერ შეძლო რეკორდის გაუმჯობესება: „ჯერ ერთი, ზღვის დონიდან ასეთ სიმაღლეზე (ბოგოტა 2000 მეტრზეა) არასდროს მიასპარეზია და მეორეც, გარბენის ბილიკი სექტორში მოკლე იყო და სისწრაფის განვითარების საშუალებას არ მაძლევდა". ორივე მიზეზი მისაღებია, მაგრამ ანგარიში იმასაც უნდა გაეწიოს, რომ მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესება ყოველთვიურად, ფაქტიურად, წარმოუდგენელია.

### 1990 წლის 25 სექტემბერს

ბენ ჯონსონს — ცნობილ კანადელ სპრინტერს, რომელიც სეულის ოლიმპიადაზე დისკვალიფიცირებული იყო დოპინგის მიღებისათვის, გადაწყვეტილი აქვს ყველას დაუმტკიცოს, რომ მსოფლიოში უსწრაფესი ადამიანია.

— მე შემიძლია 100 მეტრზე რბენაში ნებისმიერი სპრინტერი დავამარცხო, — აცხადებს იგი, — და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ადრე თუ გვიან, ამას გავაკეთებ.

კუნძულ იამაიკის მკვიდრს, რომელიც ბოლო დროს კანადაში ცხოვრობდა და ამ ქვეყნის ღირსებას იცავდა, სჯერა, რომ 100 მეტრს 9,6 წამში გაირბენს. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ 1990 წლის 25 სექტემბერს, როცა ჯონსონის დისკვალიფიკაციის დრო ამოიწურება. ამ დღეს სეულში გაიმართება დიდი საერთაშორისო შეჯიბრება და აქ კანადელ სპრინტერს სრული რეაბილიტაციის შანსი ექნება.

### მოსალოდნელია სიურპრიზებიც

ქალთა სწრაფდაშვებითა და ვაჟთა გიგანტური სლალომით (პირველი შეჯიბრება ჩატარდა არგენტინაში, მეორე — ავსტრალიაში) დაიწყო 1989-1990 წლების მსოფლიო თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში (რიგით ოცდამეოთხე).

ეს ასპარეზობა ტრადიციულად სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა დისციპლინაში ტარდება (სწრაფდაშვება, სლალომი, გიგანტური და სუპერგიგანტური სლალომი). ყოველ ეტაპზე პირველთხუთმეტ ადგილზე გასული სპორტსმენები იღებენ ქულებს, I ადგილისათვის — 25, II ადგილისათვის — 20, III ადგილისათვის — 15, IV ადგილისათვის — 12 და ა. შ. სამთომთხილამურე, რომელიც სეზონის ბოლოს ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, დაჯილდოვდება მსოფლიო თასით — ბროლის დიდი გლობუსით. ეტაპებზე გამარჯვებულები შესაბამისად ბროლის მცირე თასებს იმსახურებენ.

ვის როგორი შანსი აქვს ახალ გათამაშებაში? ქალთა შორის ფავორიტებად ითვლებიან შვეიცარიელები ფრენი შანიდერი, მიქაელა ფიჯინი და მარია ვალიზერი. ვაჟებში — ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი, იტალიელი ალბერტო ტომბა, შვეიცარიელი პირმინ ცურბრიგენი, მაგრამ აქ შესაძლებელია სიურპრიზებიც მოხდეს. ერთ-ერთი ასეთი სიურპრიზის ავტორად გვესახება 22 წლის ნორვეგიელი ოლე-კრისტიან ფურუსეტი, რომელმაც თავი ჯერ კიდევ წინა სეზონში გამოიჩინა.

### არბიტრი თუ კომპიუტერი?

მოკრივეთა შეხვედრის მსაჯობაზე კამათს ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც სპორტის ამ სახეობას. პრესა, რადიო, ტელევიზია ხშირად აღნიშნავს, არაობიექტური, მიკერძოებული მსაჯობის შემთხვევებს. მოჰყავთ კონკრეტული მიზეზებიც. ერთ-ერთი მიზეზი, სპეციალისტთა აზრით, ის გახლავთ რომ მოძველდა კრივის მსაჯობის წესები. მეტსაც გეტყვით, დღეს რინგზე ბრძოლები მიმდინარეობს წესებით, რომელიც ინგლისში ჯერ კიდევ 1743 წელს მიიღეს.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ექსპერტებმა გადაწყვიტეს ელექტრონულ ხელსაწყოთა გამოყენება. ასეთი ხელსაწყოები ზუსტად აღრიცხავს მოკრივეთა დარტყმების რაოდენობას. მათი ანალიზი ხდება მომენტალურად, ელექტრო-გამომთვლელი მანქანების დახმარებით. არბიტრს საბოლოოდ ისღა რჩება, რომ ზუსტად გამოაცხადოს ამ ანალიზის შედეგები.

### მონღოლეთი — ალპინიზმის მექა

ალპინიზმი, როგორც სპორტის დამოუკიდებელი სახეობა, მონღოლეთში 1951 წლიდან არსებობს, როცა ექვსმა ენთუზიასტმა განიზრახა ასრალტ-ხაირხანის (2700 მეტრი) მწვერვალზე ასვლა და განახორციელა კიდეც იგი.

60-იანი წლებიდან მონღოლეთის ალპინისტები უკვე მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ეს მოხდა ლენინის სახელობის მწვერვალზე ასვლის გამო. მას შემდეგ ქვეყნის უძლიერესმა მთამსვლელებმა წარმატებით დალაშქრეს პამირის, კავკასიის, ტატრებისა და ალპების სხვადასხვა მწვერვალი.

ახლა მონღოლი სპორტსმენები საკუთარ მწვერვალებსაც მიადგნენ. განსაკუთრებით რთული და საინტერესო ალპინისტური ტრასებია მონღოლეთის ალტაიში, ხანგაისა და ხენტიის მთიანეთში. ეს მასივები საბჭოთა, ბულგარელი, უნგრელი, პოლონელი, იუგოსლაველი და იაპონელი ალპინისტების ყურადღებასაც იპყრობს. სულ მალე აქ განზრახულია რამდენიმე საერთაშორისო ექსპედიციის მოწყობა.

კალეიდოსკოპი

რედაქტორი **თ. გაჩეჩილაძე.**

## კურსები მუშაობას განაახლებს

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა ფასიანი მოსამზადებელი კურსები ა. წ. სექტემბრიდან აგრძელებს წარმოებიდან მოუწყვეტლივ საბავშვო ბაღის აღმზრდელების (ფიზკულტურის სპეციალობით), სპორტული მასაჟის, ტანვარჯიშ „უშუს", ქართული ჭიდაობის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსების მეცადინეობას.

კურსების დამთავრების შემდეგ ინსტრუქტორებს, თანახმად საკავშირო სპორტსახკომის ბრძანებისა, ეძლევათ მოწმობა, რომელიც მათ უფლებას აძლევს იმუშაონ: ფასიან ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, სამეურნეო-ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელ გაერთიანებებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბებში, საბავშვო ბაღებში, ჯანმრთელობის სკოლებში, კოოპერატიულ და ინდივიდუალური შრომითი მოღვაწეობის სფეროში და სხვა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის შენობაში, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა. ტელ: 23-32-69.

**საქართველოს სახელმწიფო ფიზკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი.**

---

## „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა საყურადღებოდ!

„ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების პირველ მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა. უნდა გაცნობოთ, რომ ორმხრივი მოლაპარაკების თანახმად, იმის გამო, რომ ბელფასტის (ჩრ. ირლანდია) სტადიონი დისკვალიფიცირებულია, დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა" და ჩრ. ირლანდიის „ლინფილდის" შეხვედრა 13 სექტემბერს გაიმართება ნეიტრალურ სტადიონზე უელსში.

ტირაჟის პროგრამაში პირველი წყვილის მდგომარეობა არ იცვლება.

### „სპორტპროგნოზი", 36-ე ტირაჟის პროგრამა (2-3 სექტემბერი)

| | სსრ კავშირის ჩემპიონატი ყინულზე ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „დინამო" (რიგა) | 2.IX | 70 | 20 | 10 |
| 2. | „სოკოლი" (კიევი) — ცსკა | 3.IX | 20 | 20 | 60 |
| 3. | „ტორპედო" (იაროსლავლი) — „ტორპედო" (გორკი) | 3.IX | 60 | 10 | 30 |
| | **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 4. | „ტორპედო" (ქუთაისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) | 3.IX | 80 | 10 | 10 |
| 5. | „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ნეფთჩი" (ბაქო) | 3.IX | 20 | 70 | 10 |
| 6. | ასკ (როსტოვი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 3.IX | 30 | 60 | 10 |
| 7. | „ფაკელი" (ვორონეჟი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 3.IX | 50 | 40 | 10 |
| 8. | ცსკა — „დინამო" (სტავროპოლი) | 3.IX | 70 | 20 | 10 |
| 9. | „კუზბასი" (კემეროვო) — „გურია" (ლანჩხუთი) | 3.IX | 20 | 60 | 20 |
| 10. | „დაუგავა" (რიგა) — „შინიკი" (იაროსლავლი) | 3.IX | 20 | 40 | 40 |
| 11. | ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „გეოლოგი" (ტიუმენი) | 3.IX | 40 | 40 | 20 |
| 12. | „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „კაირატი" (ალმა-ათა) | 3.IX | 10 | 70 | 20 |
| 13. | „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „პახთაქორი" (ტაშკენტი) | 3.IX | 30 | 60 | 10 |

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07912